

თვითმკვლელობა, როგორც პრევენცირებადი ფენომენი

ეკა ჩერქეზიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი

ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ
მუშაობაში, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ფსიქოლოგიაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკა ჩერქეზიშვილი

06.07.2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება თვითმკვლელობის, როგორც პრევენცირებადი ფენომენის განხილვას და მისი თავიდან არიდებისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების მიმოხილვას. ძირითადი აქცენტი კეთდება პრევენციის სტრატეგიულ მიმართულებებზე, რომელთა შორის ერთ-ერთი ფუნდამენტურია სწორი ინფორმაციის ფლობა და საზოგადოების მაღალი ცნობიერება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პროფესიული ჯგუფებისათვის, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში მოიაზრებიან ე.წ. „ჭიმკრის მოდარაჯეებად“ და აქვთ საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში სწორედ ამ მიმართულებით განხორციელდა რაოდენობრივ მეთოდზე დაფუძნებული კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა თვითმკვლელობის პრევენციაზე პასუხისმგებელი აქტორების - ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების, განათლების მუშაკებისა და სოციალური სერვისის მიმწოდებლების ცოდნის, გამოცდილებისა და ინფორმირებულობის ხარისხის შეფასებას საჭიროებების გამოვლენისა და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

განხორციელებული სამუშაოს შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნულ პროფესიულ ჯგუფებში თეორიული ცოდნის ნაკლებობის გამო იკვეთება გარკვეული სტერეოტიპული დამოკიდებულება თვითმკვლელობის საკითხებთან დაკავშირებით, რაც თავისთავად ამცირებს ამ სპეციალისტთა მიერ ადეკვატური პრევენციული ქმედებების განხორციელების შანსს.

რა თქმა უნდა აღნიშნულ ნაშრომსა და განხორციელებულ კვლევას (გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო) არ აქვს პრეტენზია, რომ სრულად წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანაში არსებულ ვითარებას ამ მიმართულებით, თუმცა

ღირებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ თვალსაზრისით, რომ დაინტერესებულ პირთათვის ამ მიმართულებით ახალი კვლევითი საკითხების განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, პრევენციის სტრატეგია, რისკ და დამცავი ფაქტორი, ინტერვენცია, მსოფლიო მიღწევები, მითები, კვლევის მეთოდოლოგია, რეკომენდაციები.

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო და ჩემი ღრმა პატივისცემა კიდევ ერთხელ გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც წინამდებარე ნაშრომის მომზადების პროცესში გარკვეული დახმარება გამიწია.

ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ შორენა სამაგლიშვილს, რომელიც ინტენსიურ რეჟიმში მიწევდა საგანმანათლებლო მხარდაჭერას და მომცა შესაძლებლობა მისი ზედამხედველობის პირობებში მემუშავა სამაგისტრო ნაშრომზე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თვითმკვლელობის პრევენციის სპეციალისტს ბატონ მიხეილ სინიცას, აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის ფსიქიატრიული განყოფილების, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) ექიმ-ფსიქიატრს ქალბატონ ეკატერინე ბერძენიშვილს და ამავე დაწესებულების რეგიონულ კოორდინატორსა და თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ექიმ-ფსიქოთერაპევტს ქალბატონ სოფიო ტაბაღუას, რომელთაც მომაწოდეს სხვადასხვა სახის ჩემთვის ხელმიუწვდომელი ლიტერატურა და დიდი წვლილი შეიტანეს კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს რესპონდენტებს, თითოეული დაწესებულების წარმომადგენელს, რომელთაც დრო დამითმეს, გამიზიარეს თავიანთი მოსაზრება საკვლევ საკითხთან დაკავშირებით და დამეხმარნენ არსებული ვითარების გაანალიზებაში.

და ბოლოს, დიდი მადლობა უნივერსიტეტსა და სოციალური მუშაობის მიმართულების ყველა ლექტორს, მოცემული თეორიული ცოდნისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობის მოცემისათვის.